ოზურგეთის „არწივები“ ელიტაში ითამაშებს

6 მაისს, ქ. თბილისში, „ავჭალა არენაზე“, ოზურგეთის „არწივები“- „არმიას“პირველი ლიგის ფინალურმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გურულებმა მშობლიური ქალაქიდან მრავალრიცხოვანი ქომაგი იახლეს. „არმიას“კი მხარს ქართველი ჯარისკაცები აქტიურად უჭერდნენ. მსაჯობის მაღალმა ხარისხმა, გუნდების მოთამაშეთა

გვ–3

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 11(10447) 15 მაისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

გურიის მუნიციპალიტეტებსა და USAID-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ალიონი. ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების, ცხოვრების ხარისხის გაზრდისა და ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით თანამშრომლობას იწყებენ.

მუნიციპალიტეტებსა და USAID-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ბათუმში, ღია მმართველობის კვირეულის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მოეწერა ხელი, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავჯდომარეები დაესწრნენ.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამამ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე საქართველოს სამი მუნიციპალიტეტი შეარჩია. მათ გაიარეს მრავალსაფეხურიანი შერჩევის პროცესი, აჩვენეს მაღალი ინტერესი და მზაობა იმუშაონ მუნიციპალური ეფექტურობისა და ანგარიშვა-ლდებულების ამაღლებაზე და გადაწყვეტილებების მიღ-ების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდაზე

შავიზღვისპირა 20-კილომეტრიან ზოლში ინერტული მასალების ამოღება გრძელდება

ალიონი. შავიზღვისპირა 20-კილომეტრიან ზოლში ინერტული მასალების ამოღება გრძელდება.

–„წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ლიცენზია შარშან, სექტემბრის ბოლომდე ითვალისწინებდა იქ სამუშაოებს. მდინარე ნატანების აუზში ამჟამად უმძიმესი მდგომარეობაა. სახელმწიფო უწყებები არ იძლევიან საჯარო ინფორმაციებს კარიერებთან დაკავშირებით“ – ინფორმაცია ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** მიაწოდა.

ჩვენ ამ პრობლემების შესახებ რამდენიმე სტატია გამოვაქვეყნეთ როგორც ბეჭდურ, ისე ონლაინ მედიაში **(http://alion.ge/2022/07/)**

გთავაზობთ ამონარიდებს შარშან, ივლისში გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებული სტატიიდან:„შეიცავს თუ არა კარიერული წარმოება საქართველოში კორუფციულ რისკებს?“ ანუ რას მოუტანს მდინარე ნატანების ხეობას და შავი ზღვის სანაპიროს დიდი ოდენობით წიაღისეულის მოპოვება.“

„შავიზღვისპირა მდინარეების აუზების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი მთავრობის 2005 წლის 4 სექტემბრის დადგენილება იყო, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან 20-კილომეტრიან ზოლში ინერტული მასალების მოპოვებას კრძალავდა, კერძოდ: „დაუშვებ-ელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა შავი ზღვის შესართავიდან 20 კილომეტრინ მანძილზე პირდაპირი ხაზით“ რითაც გარკვეულწილად დაცული იყო მდინარეების ზღვისპირა მონაკვეთები. ინერტული მასალის ბარბაროსულად მოპოვება გურიის რეგიონში მდინარე სუფსის და ნატანების აუზებში ძირითადად შუა წელში ხდებოდა.

როგორც ვწერდით, *(http://alion.ge/2022/02/საბრძოლო-პოლიგონად-ქცეულ/)* ხელისუფლებამ ერთობლივი საწარმო *„POLAT YOL & MAPA“* უფლება მისცა ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანებზე, ისტ-ორიული ვაშნარის ციხე-ქალაქის მიდებარედ, ლიცენზიის გარეშეც მოიპოვოს წიაღი. *ამისთვის 2020 წლის 4 სექტემბერს. სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების“ .*

ცვლილება– „ მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების (პლაჟების) აღდგენის მიზნით. მოპოვება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა დასაწყობებულია“ აღნიშნულ ცვლილებას ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ***გიორგი გახარია.***

სასწრაფო წესით კანონის ცვლილებას წინ უსწრებდა, კომპანია „პოლატის“ წერილი (27. 08.2020 წ. დოკუმენტის -თ /20/0324), რომელიც მათ გაუგზავნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. კომპანიამ დაიწუწუნა წიაღი არ მაქვს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისთვისო.

ამონარიდი წერილიდან:

„აჭარის რეგიონში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უკავშირდება დიდ სირთულეებს და აღნიშნული კუთხით მძიმე მდგომარეობაა, რადგან ფაქტობრივად აღარ არსებობს კარიერები, სადაც შესაძლებელია სასარგებლო წიაღი-

გვ–2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შავიზღვისპირა 20-კილომეტრიან ზოლში ინერტული მასალების ამოღება გრძელდება

სეულის მოპოვება. ამასთან, აჭარის რეგიონში მოქმედებს საქარ-თველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვა 20-კილომეტრიან ზოლში წიაღის მოპოვებაზე. შესაბამისად შეზღუდვის გათვალისწინებით ფაქტობრივად ჩვენთვის შეუძლებელი ხდება პროექტის განხორციელება, რადგან ვერ ვახერხებთ ქვიშა ხრეშის მოპოვებას და ძირითადი სამუშაოების წარმოებას“

გზა უნდა აშენდეს, და 20-კილომეტრიან ზოლში წიაღისეულის მოპოვებაზე გამონაკლისი გურიაზე დაუშვეს, რომელსაც ხელს ამჟამინდელი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** აწერს. მდინარე ნატანების აუზში, 20 კილომეტრიან ზოლში ულიცენზიოდ შევიდა „POLAT YOL &MAPA, რომელმაც იქ წიაღისეულის მოპოვების უფლება ქვემოიჯარე კომპანის გადასცა (ცნობილი წიაღის მომპოვებელი იაკობ ლექვინიძე,) და ახლა ვხედავთ, როგორ ბარბაროსულად ექცევიან ისინი ხეობას...

სამწუხაროდ, მდინარე ნატანების მიმდებარე სოფლების წარმომადგენლები, არ რეაგირებენ თუ რატომ შეუცვალეს კალაპორი მდინარეს და რა საშიშროების ქვეშაა გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, ბოხვაურის და სხვა სოფლების ათეულობით ჰექტარი სავარგული, რომლებიც სიმინდის კულტურის ყველაზე უხვმოსავლიან ფართობებად ითვლება მუნიციპალიტეტში.“

გაზეთი „ალიონი“, №19, 2022 წ.

რა მდგომარეობაა ამჟამად. მდინარე ნატანების 20-კილომეტრიან ზოლში? ასეულ ათასობით კუბური მეტრი ინერტული მასალაა ამოღებული. სპეციალისტები ამ მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევენ. საჯარო დაწესებულებები ინფორმაციებს არ იძლევიან. დუმს ის არასამთავრობები, რომლებიც კლიმატის ცვლილებების საკითხებზე მუშაობენ., სათანადო დაფინანსებაც აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთი პოზიცია დააფიქსირონ.

როგორც რედაქციას სანდო წყარომ აცნობა ამჟამადაც POLAT YOL &MAPA ცნობილი ქვეკონტრაქტორი იმუშავებს ხეობაში...

გაზეთი „ალიონი“ კვლავ უბრუნდება ამ თემას.

მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების მემორიალი ყვავილებით შეამკეს

ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** პირველ მოადგილესთან **ქეთევან მოისწრაფეშვილთან,** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის ბიუროს ხელმძღვანელებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების მემორიალი ყვავილებით შეამკო.

გურიის რეგიონში 5 ვეტერანი ცხოვრობს, რომლებსაც რწმუნებული სახლში ესტუმრა და გამარჯვების დღე პირადად მიულოცა.

–„*დღეს აღვნიშნავთ ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავს. ჩვენმა ქვეყანამ და რეგიონმა ბევრი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა მეორე სამამულო ომის დროს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დიდ გამარჯვებაში. მინდა მივულოცო ყველა ვეტერანს, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა*“,– აღნიშნა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ურუშაძემ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად – 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ.

ქართული კინოს მარათონი 2023

15 მაისს, ქართული კინოს დღეს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი წარმოგიდგენთ ქართული კინოს მარათონს!

ქართული კინოს 115 - წლიანი ისტორიიდან მარათონის პროგრამა მაყურებელმა ღია გამოკითხვის მეშვეობით, თავადვე შეარჩია.

კინომარათონი საქართველოს 20 ქალაქში და 5 ქვეყანაში გაიმართება.

კინომარათონში ასევე ჩაერთო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სადაც **ნინო რამიშვილის სახელობის ხელოვნების სასახლეში 17 საათზე, გაიმართება რეჟისორ თემურ ბაბლუანის ფილმის „უძინართა მზის“ ჩვენება.**

კინოჩვენებაზე დასწრება თავისუფალია.

ბახვი ჰესმა, ორგანიზაციას „ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემი“ საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა გადასცა

ბახვი ჰესმა ორგანიზაციას „ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემი“, რომლის დაარსების მიზანიც ჩხაკაურაში მცხოვრები ქალების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებაა, საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. ამიერიდან ორგანიზაციის წევრები ჩხაკაურას სკოლის ადმინისტრაციის საკუთრებაში არსებული ინვენტარის ნაცვლად საკუთარი ტექნიკით სარგებლობას შეძლებენ.

„ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემი“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2021 წელს შეიქმნა. ორგანიზაციაში ამ დროისთვის 10 ქალია გაწევრიანებული. „ქალები მომავლისთვის“ შექმნის ერთ-ერთი მიზანი, ქალების სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად, სოფლის განვითარებაც არის. ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა პროექტზე სამუშაოდ ყოველკვირეულად ე.წ ძველი გამგეობის შენობაში იკრიბებიან.

„ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემის“ წევრებმა სხვადასხვა საგრანტო პროგრამის ფარგლებში არაერთი მცირე დაფინანსება მოიპოვეს. მათ შორის, ერთ-ერთი სათემო პროექტის ფარგლებში მოიგეს საკერავი და საქსოვი მანქანები.

„*ჩხაკაურაში ბახვიჰესისშემოსვლა ჩვენთვის წარმატების მომტანი იყო. კომპანია ჩართულია საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებში. ხშირად ვესწრები მათ შეხვედრებს. მათთან დაკავშირების შემდეგ ჩვენს ორგანიზაციას წინსვლის შესაძლებლობა მიეცა. უკვე გვაქვს ოთახი, სადაც ქალები ვიკრიბებით. ამ დრომდე ჩხაკაურას სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერით ვსარგებლობდით. ახლა ბახვი ჰესის მხარდაჭერით უკვე გვაქვს საკუთარი ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც უფრო კარგად ვწერთ პროექტებს. ეს კომპანიის მხრიდან ადამიანების გვერდში დგომის ძალიან კარგი მაგალითია*“– განაცხადა „ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემის“ ხელმძღვანელმა, **მარიამ ლაფერაშვილმა.**

„*სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება, ზოგადად თითოეული რეგიონის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამწუხაროდ, დღესდღეობით რეგიონებში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ქვეყნის ერთ-ერთი გამოწვევაა. მიმაჩნია, რომ ამ პრობლემების მოგვარების პროცესში კერძო სექტორიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული. გვიხარია, რომ ჩვენი სოციალური პროექტების ფარგლებში „ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემის“ დახმარების საშუალება მოგვეცა. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, შევქმნათ პროგრამები, რომელიც მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპიუტერული ტექნიკის ორგანიზაციისთვის გადაცემა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მოხარული ვიქნებით, თუ ორგანიზაციის განვითარებაში გარკვეულ წვლილს ჩვენც შევიტანთ*“– განაცხადა ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

„ქალები მომავლისთვის, ჩხაკაურას თემი“ 2021 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია, ფონდი ტასოს სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა.

დაფინანსებული ფართი

ოზურგეთის „არწივები“ ელიტაში ითამაშებს

სანიმუშო ქცევამ და შესაშურმა ბრძოლისუნარიანობამ ლიგის სატიტულო შეხვედრა ნამდვილ სარაგბო ზეიმად აქცია.

შეხვედრა„არწივების“მძლავრი იერიშებით დაიწყო და მე-8 წუთზე მეტოქის 5-მეტრიანთან კარგად აგორებული მოლით გურულების მასირებული შეტევა მღლეტელმა **ილისონი გალალამ** ლელოთი დაასრულა. სამხრეთაფრიკელ მგეზავ **მარვინ ფრედერიკსის** მახვილი კუთხიდან შესრულებულმა ზუსტმა გარდასახვამ გურულებს დებიუტში 7-ქულიანი უპირატესობა მოუპოვა.

მიღებული ლელოს შემდეგ „არმია“გააქტიურდა და ტაიმის შუა წელს 5-წუთიან მონაკვეთში გამოცდილი კაპიტნის **რამაზ ხარაზიშვილის** გატანილი წყვილი ჯარიმის შედეგად ანგარიშში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. **ლევან ობოლაძის** ბიჭები დინამიურ თამაშში რაციონალურად ირჯებოდნენ და ფულბეკ **საბა ილურიძის** სწრაფი და მახვილგონივრული თამაშის წყალობით, კომბინაციურ სტილში ლელოს გატანაც მოახერხეს, რომლის გარდასახვა **ხარაზიშვილს** არ გაჭირვებია. „არმია“შესვენებაზე 6-ქულიანი უპირატესობით წავიდა-13:7.

მეორე ტაიმში სამატჩო მღელვარებამ და შესაბამისად მეტოქეთა მხრიდან ტექნიკურმა წუნმა იმატა. „არმია“დაცვას მეტ ყურადღებას უთმობდა, „არწივები“კი შეხვედრაში გარდატეხის შეტანას მაქსიმალურად ცდილობდნენ და **ფრედერიკსის** 60 მეტრიდან გატანილი დიდებული არეკნის შემდეგ უპირატესობა მეთოდურად დაიბრუნეს.

შეხვედრაში გარდამტეხი 68-ე წუთი გამოდგა. ფრედერიკსმა ჯერ 22/50-ის მოქმედი წესით საკუთარი ნახევარიდან მეტოქის 15-მეტრიანთან განხორციელებული უზადო დარტყმით საკუთარ გუნდს აუტის უპირატესობა მოუპოვა. დერეფანიდან მოწოდებული ოვალი **ფრედერიკსმა**„არმიას“ჩათვლის მოედანზე ეფექტურად შეაცურა, სადაც შექმნილ ვითარებაში ყველაზე კარგად გურულების ფრთა **ჯაბულანი მკულვანი** გაერკვა. 1 წუთის შემდეგ ფეხმარდმა მკულვანმა საკუთარი ნახევარიდან სისწრაფეზე წამოღებული ოვალი ლელოდ თავად აქცია და „დუბლიც“გაიფორმა. ფრედერიკსს, ხელსაყრელი პოზიციების ქონის მიუხედავად, ორივე გარდასახვა გაუცუდდა, რის გამოც„არწივების“უპირატესობამ მხოლოდ 7 ქულა შეადგინა.

მატჩის ბოლო 10-მა წუთმა „არმიელთა“ გააფთრებული იერიშებში ჩაიარა, თუმცა ტექნიკურმა წუნმა და რიგმა ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა ობოლაძის ბიჭებს შედეგიანი ქმედების განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა. „არწივებმა“ პრინციპულ მეტოქეს სეზონის მეოთხე შეხვედრაც მოუგეს, ამჯერზე-20:13 და კლუბის 14-წლიანი ისტორიის მანძილზე დიდ 10-ში თამაშის უფლებაც პირველად მოიპოვეს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია „არწივების“ მთავარი მწვრთნელის **გია ამირხანაშვილის** გარჯა. გამოცდილი სპეციალისტი გურულებს მეორე წელია ერთობ ნაყოფიერად დამრიგებლობს და აღნიშნულ პერიოდში „არწივებმა“თამაშის ხარისხი მკვეთრად გაუუმჯობესა, რაც გუნდის შედეგზეც ნათლად აისახა. მიმდინარე სეზონში, ფინალის ჩათვლით ოზურგეთელებმა 20-ივე ჩატარებულ შეხვედრაში იმარჯვეს. გურულებისთვის ისტორიაში ქართული რაგბის ელიტაში თამაში უცხო ხილს არ წარმოადგენს. 32 წლის წინ ჩოხატაურის„ჯანი“პოდიუმს შეწვდა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამრიგად, დიდი რაგბი ლელობურთის სამშობლოში – გურიაში დაბრუნდა.

„არმიას“დიდ 10-ში დაბრუნების შანსი კიდევ დარჩა. ქვეყნის ექსჩემპიონი ელიტაში ასვლაზე დიდი 10-ის ბოლოსწინა, მე-9 ადგილოსან „აკადემიას“ 2-მატჩიან დუელში დაუპირისპირდება.

ტრადიციულად ამაღელვებელი გახლდათ დაჯილდოვების ცერემონიალი. „არმიას“ვერცხლის მედლები სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობებში **ლევან ღვაბერიძემ** გადასცა. „არწივები“კი ოქროს მედლებით ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ** დაჯილდოვა, ვისაც საკუთარი ქალაქის მორაგბეთა გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

„არწივების“კაპიტან **ზურაბ ჟორჟოლაძეს** კი საჩემპიონო თასი სრკ-ს პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** და ავთანდილ თალაკვაძის ძმამ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძემ** გადასცეს, საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი სრკ-ს გამგეობის თავჯდომარემ და ქართულმა რაგბის ლეგენდამ **დავით კაჭარავამ** ოზურგეთის არწივების 10 ნომერს **მარვინ ფრედერიკსს** გადასცა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს სარაგბო კლუბ „არწივებს“, მის პრეზიდენტ **ბონდო ღლონტს,** მთავარ მწვრთნელ **გია ამირხანაშვილს,** ხაზის მწვთნელს **კახა მაჩიტაძეს** და მთელ სტაფს ამ დიდ გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს!

ბახვი ჰესის ტრენინგების ფარგლებში მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებს გიორგი სუხიტაშვილი ესტუმრა

2023 წლის 6 მაისს, მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებს მომღერალი **გიორგი სუხიტაშვილი** ეწვია. მოსწავლეებთან შეხვედრა ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში გაიმართა. სტუმარმა მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და ისაუბრა ისეთ თემებზე, როგორიცაა განათლების მნიშვნელობა, კარიერული განვითარება, პასუხისმგებლიანი მოქალაქეობა, წარმატების მიღწევის გზები. გიორგი სუხიტაშვილის სტუმრობის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით არსებული შესაძლებლობები და ახალგაზრდების მიერ მათი ეფექტიანად გამოყენების შესახებ გამოცდილების გაზიარება იყო. სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეებმა პასუხები მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე მიიღეს. მათ შორის, როგორ უნდა იყო აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქე და რამდენად მნიშვნელოვანია ეს, როგორც მოქალაქისთვის, ასევე ქვეყნისთვის. — *„აუცილებელია, ახალგაზრდებმა იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობებია დღესდღეობით ქვეყანაში, რა მიმართულებებია პრიორიტეტული და აქტუალური და როგორ უნდა გაიარო გამოწვევებით სავსე გზა წარმატების მისაღწევად. ეს ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანია, მაშინ, როცა იღებ გადაწყვეტილებას, თუ როგორ განავითარო შენი მომავალი. მოხარულები ვართ, რომ გიორგიმ მიიღო ჩვენი მოწვევა, ჩამოვიდა ახალგ-აზრდებთან შესახვედრად და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა მათ. მოსწავლეები დაინტერესდნენ ისეთი თემით, როგორიცაა, აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ახალგაზრდებისთვის საკუთარი კარიერის გარდა, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ქვეყნის განვითარებაცაა. სწორედ, განათლების ხელშეწყობა და სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურება მიზნად ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო მიმართულების არსებობაც“* — განაცხადა ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი, განახლებადი ენერგიებისა და პროფესიული ორიენტაციის თემებზე შედგენილი ტრენინგების კურსი, რომელიც 2021 წლის გაზაფხულზე დაიწყო მთისპირში, 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობს უკვე ორ სოფელში, მთისპირსა და ჩხაკაურაში.

პროექტი უფროსკლასელთათვის, კერძოდ 9,10,11,12 კლასების მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებზე, ასევე, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ და ინფორმაციის მიწოდებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სპეციალურად შერჩეული ტრენერების და მოსწავლეების შეხვედრები მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლებში თვეში ერთხელ ტარდება.

დაფინანსებული ფართი

„ლეგენდები სიყვარულზე“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა თეატრალურ - მუსიკალური კომპოზიცია “ლეგენდები სიყვარულზე”

ღონისძიების მიზანი იყო გამოჩენილი ადამიანების სასიყვარულო ისტორიების გაცოცხლება, რომლებიც ლეგენდებად იქცნენ.

სცენარის ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი: ეკა ჭელიძე; რეჟისორები: ვახტანგ ჩხარტიშვილი & ნინო ჯიჯიეშვილი; სცენოგრაფია: მარიკა ქვეითაია & ცირა სვანაძე.

მონაწილეობდნენ:

მსახიობები - მარიამ ხანთაძე, ბელა კიკვაძე, გიორგი დოლიძე, ნიკა ძნელაძე.

მომღერლები - მაია თოთიბაძე, მარეხი მჟავანაძე. კვინტეტი “დომინანტა”,

ქორეოგრაფიული სტუდია “ანთა”

ძველი ოზურგეთის ქუჩების ისტორიები

გერმანე გოგიტიძის ქუჩა

გერნმანე გოგიტიძის ქუჩა მდებარეობს ზვანში, ყოფილი შაუმიანის ქუჩა, .რომელიც იწყება მერაბ კოსტავას (ადრე ლენინის, გასაბჭოებამდე ნატანების) ქუჩიდან და გრძელდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩამდე.

შაუმიანის ქუჩა

სტეფანე გიორგის ძე შაუმიანი(1878-1918 წ.წ.) რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კავკასიაში, ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პროფესიონალი რევოლუციონერი. დაიბადა თბილისში,დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, იყო ,,სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის'' ერთ-ერთი ორგანიზატორი, რსდმპ კავკასიის კომიტეტის ორგნიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელსაც 1924 წლიდან ხელმძღვანელობდა. 1917 წლის თებერვალში აირჩიეს ბაქოს საბჭოს თავმჯდომარედ,სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატად. 1918 წლის აპრილში – ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატად.1918 წლის აპრილში ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი იყო დახვრიტეს ბაქოს სხვა 25 კომისართან ერთად .

დაწერილი ჰქონდა სტატიები ლევ ტოლსტოიზე, მაქსიმ გორკიზე.

თავის ნაშრომებში იგი ეხებოდა სომეხი ხალხის მქ-19-20 საუკუნის ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებს.

გერმანე გოგიტიძე

ქართული კინოინდრუსტრიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი

გერმანე გოგიტიძე დაიბადა 1886 წლის 12 სექტემბერს სოფელ ჭალას (ბოხვაურის თემი.)

დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის კერძო პანსიონში შემდეგ სწავლა გაგრძელა ბათუმის გიმნაზ-იაში, სადაც დაინტერესდა თეატრით. მონაწილეობა მიიღო სამოყვარულეო სპექტაკლში და განასახიერა ქალის როლი. გიმნაზიაში სწავლა დაასრულა 1904 წელს და მეუღლეთან ნადია ქადეიშვილთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ ჯერ ლაიფციგში შემდეგ პარიზში.

პარიზში. 1905-1910 წლებში სწავლობდა იურდიულ ფაკულტეტზე. საფრანგეთში ყოფნის დროს შეეძინა ორი შვილი, რომლებიც გრიპის ეპიდემიით დაიღუპნენ. სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ ოზურგეთში და დასახლდა ახლანდელი ,,ჩემი მარკეტის'' ყოფილ ტერიტორიაზე

1914 წელს ყოფილი სასტუმრო ,,გურიის'' ტერიტორიაზე ახლანდელი (საქართველოს ბანკი).გერმანე გოგიტიძის თაოსნობით და მისი ხარჯებით აიგო 250 კაციანი დაბაზით და მოძრავი სცენით თეატრი, რომელიც შემდგომ კინოთეატრ ,,ილუზიონად'' გადაკეთდა. კინოთეატრის მშენებლობაში მას მხარში ედგა **ნესტორ აბაშიძე** და **სტანისლავ (სტავა) კალატოზიშვილი.**

სხვა ცნობით გერმანე გოგიტიძეს დაეხმარა ბიზნესმენი ვინმე **საბასტარიშვილი** რომელსაც ფოთიდან ხე-ტყე გაქონდა საფრანგეთში..

1914 წლის ზაფხულში თეატრის მშენებლობა დაამთავრა, ზოგიერთის ცნობით თეატრი 300 მაყურებელს იტევდა და მოძრავი სცენა ჰქონდა. თეატრსა და კინოზე უზომოდ შეყვარებული გერმანე თეატრში თავად იყო დამდგმელი რეჟისორიც, მსახიობიც, რეკვიზიტორიც და ბილეთების გამყიდველი. ზემოთ ხსენებულ თეატრი, რომელიც კინოთეატრად გადააკეთა, სადაც სპეკტაკლებთან ერთად უცხოურ კინოფილმებსაც აჩვენებდა. როგორც ამბობენ ერთერთი კინოსეანსის დროს გერმანე გოგიტიძეს დაებადა იდეა გადაეღო ქართული ფილმი, მალე საზოგადოებამ მიიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი **,,ქრისტინე''**, რომლის რეჟისორი გახლდათ ოზურგეთელი **ალექსანდრე წუწუნავა,** პროდიუსერი გერმანე გოგიტიძე, ფილმი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის სცენარით არის და მისი ძირითადი ნაწილიც გურიაშია გადაღებული.

სამწუხაროდ, 1918 წელს, ოზურგეთი თურქებმა გადაწვეს და კინოთეატრიც დაიწვა,კინოთეატრთან ერთად დაიწვა გოგიტიძის კინოფირებიც.

გერმანე გოგიტიძე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იღებდა დოკუმენტურ ფილმებს, მის მიერ გადაღებულია ,,დღესასწაული დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს'' და ,,სახალხო გვარდიის დღე საქათველოს დედაქალაქში, 12 დეკემბერი 1918 წელი''. გადაიღო ასევე მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური სიუჟეტები: ,,ბათუმის გადმოცემა საქართველოსთვის'', ,,აზერბეიჯანის ფრონტი'', ,,ბათუმის სიმაგრეები'', ,,გორის მიწისძვრა'',,,აჭარა'',,,სახალხო გვარდიელთა ჯირითი'', ,,ბათუმის პროტესტი'', ,,გორის წისქვილი'' ,,1919 წლის 26 მაისი'', ,,მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა დელეგაცია. '' და ა.შ,შ

აკაკი ბაქრაძე წერდა: *,,ვისაც ჰქონია შემთხვევა ენახა მენშევიკური ხელისუფლების დროს გადაღებული კინო ქრონიკის ნაკუწები,იგი გერმანე გოგიტიძესაც დაინახავდა. დღეს შეიძლება გაგელიმოთ კიდეც-როგორი სიმკვირცხლით, ბავშვური ხალისით ხელმძღვანელობდა იგი გადაღებებს''.*

1919 წელს გერმანე გოგიტიძისა და კოპერატივთა კავშირის შეტანხმებით დაიწყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბებში ფილმების ორგანიზებული ჩვენება, რამაც საქართველოში კინოინდუსტრიას ჩაუყარა საფუძველი, ამ ნიჭიერმა ოზურგეთელმა კაცმა მოახერხა ის, რომ ქართულ კინემატოგრაფიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გერმანე გოგიტიძის ჩანაწერებს ,,ქართული კინოს წარსულიდან'', მისი მცირე ზომის დოკუმენტურ-ქრონიკული მასალები, რომელიც ისტორიულ მასალად შემოგვრჩა, როგორც მატიანე ფასდაუდებელია.

1920 წელს მოხდა კინოწარმოების ნაციონალიზაცია.გერმანე გოგიტიძე გახდა სახელმწიფო კინოწარმოების ხელმძღვანელი. მთავრობამ მას თბილისში ბინა გამოუყო. გოგიტიძემ წარადგინა კინოწარმოების გეგმა, რომლის მიხედვით უნდა გადაღებულიყო 52 ფილმი, მათ შორის სამი დიდი ფილმი:,,ეფხისტყაოსანი'',,ალექსანდრე ყაზბეგის ,,მოძღვრის'', და ალ. სუმბათაშვილის ,,ღალატის'' მიხედვით., ასევე კომედიები, საბავშვო ფილმე-ბი,სამეცნიერო და სანახაობრივი ფილმები.

1921 წელს სათავეში ჩაუდგა საქაველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექციას, 1923 წლიდან იყო ,,სახკინმრეწვის'' დირექტორ-განმკარგულებელი. მისი ხელმძღვანელობით კინოსექციამ გამოუშვა ფილმები: ,,არსენა ჯორჯიაშვილი'' (1921), ,,სურამის ციხე''(1923), მისი ძალისხმევით მოხდა ქართული ფილმების უცხოეთში ჩვენება.

1920 იან წლებში გოგიტიძე გერმანიაში ფილმ ,,ნიბელუნგების'' რეჟისორ ფრიც ლანგთან შესახვედრად იქნა მივლენილი, ,,ვეფხისტყაოსნის'' ეკრანიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. გოგიტიძემ ლანგი კი დაითანხმა მაგრამ ფილმის ხართაღრიცხვა იმდენად დიდი გამოვიდა,რომ ფილმის გადარებაზე უარი თქვა. გოგიტიძეს უთქვამს ამ ფულით რამდენიმე ზაჰესს და რიონჰესს ავაშენებდიო.

1928 წელს გოგიტიძე ეწინააღმდეგებოდა ფილმ ,,ჯანყი გურიაში'' გადაღებას,რადგან მიაჩნდა ,რომ ფილმს დიდი დანახარჯები დასჭირდებოდა, წარმატებული კი არ გამოვიდოდა მოკლედ დიდი უთანხმება იყო რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავასა და გერმანე გოგიტიძეს შორის. წუწუნავამ ფილმი გადაიღო. გერმან გოგიტიძე თანამ-დებობიდან გაანთავისუფლეს და ირანში ფილმების დისტრიბუციის საკითხის მოსაგვარებლად გაგზავნეს,თ უმცა ეს წამოწყება არ შედგა ამის შემდეგ გოგიტიძე კინოს არ დაბრუნებია.

1940 იან წლებში გოგიტიძე მუშაობდა საქწიგნში ლიტერატურის გავრცელების საკითხებზე,

1949 წლის 8 აპრილს გერმანე გოგიტიძე დააპატიმრეს და აიძულებდნენ ეღიარებინა უცხო ქვეყნის ჯაშუშობა. როგორც ამბობენ ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო,რომ მისი ვაჟი რევაზი მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა,საფრანგეთში დარჩა და უკან აღარ დაბრუნებულა. წამების შემდეგ გოგიტიძემ აღიარა ჯაშუშობა და 1950 წელს 15 წლით კომის ასსრ-ში გადასახლეს, სადაც მუშაობდა ქვანახშირის მოპოვებასა და სხვა მძიმე სამუშაოებზე.

პატიმრობიდან ვადაზე ადრე 1956 წლის 13 ივლისს გაათავისუფლეს.

მისი შეხედულებები ჩამოყალიბებული აქვს წიგნში ,,ქართული კინოს წარსულიდან''.

გერმანე გოგიტიძე გარდაიცვალა 1960 წლის 7 მარტს, დაკრძალულია თბილისში.

ოზურგეთლების დიდი ნაწილის სურვილია კინოთეატრ ,,ოზურგეთს'' ჩაუტარდეს რეაბილიტაცია და დაერქვას გერმანე გოგიტიძის სახელი.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მცველი

ილია ჯინჭარაძის გახსენება

ანსამბლი ,,შვიდკაცა'', გენიჩესკი, 1978 წ.(მარცხნიდან მეოთხე ილო ჯინჭარაძე)

ანსამბლ ,,შვიდკაცას'' მეორე თაობის წარმომადგენელთა შორის **ილია ჯინჭარაძეს** ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.ილო იყო უნიჭიერესი ხელოვანი, რომელიც ხალხურ სიმღერებთან ერთად შესანიშნავად ფლობდა ქალაქურ სიმღერებს. შესანიშნავად უკრავდა ყველა ინსტრუმენტზე, განსაკუთრებით ფლობდა გიტარას. სწორედ გიტარის თანხლებით ვასრულებდით ჩვენ –სახელდახელოდ შექმნილი მეგობრული ჯგუფი ქალაქურ სიმღერებს. ერთად ვიკრიბებოდით ილო ჯინჭარაძე, ილო ინწკირველი, მურმან ქადეიშვილი და მე –ტრისტან სიხარულიძე და ჩვენი გულის გასახარად ვმღეროდით ისეთ სიმღერებს, რომლებიც ახალი იყო აქაური მაყურებლებისთვის. მოთავე ამ შეკრებებისა ილო ჯინჭარაძე იყო და გვავარჯიშებდა.

ილია მიხეილის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1936 წლის 28 ოქტომბერს. მამა –მიშა ჯინჭარაძე კარგი გურული მომღერალი იყო, სწორედ მამისაგან გამოჰყვა ილიას სიმღერის ნიჭი. მიხეილი გახლდათ ცნობილი ლოტბარის, ვარლამ სიმონიშვილის ეთნოგრაფიული გუნდის წევრი. იგი არაჩვეულებრივი მომლხენი და ,,სუფრის კაცი'' იყო.

ილო ჯინჭარაძემ ავტოსატრანსპორტო კანტორაში ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა და მომღერალთა გუნდი. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რაიონში. როგორც ნიჭიერი პიროვნება, ადრე შეამჩნია ცნობილმა ლოტბარმა მიხეილ შავიშვილმა და მიიწვია ანსამბლ ,,შვიდკაცაში.''ანსამბლში იგი თბილისში სამუშაოდ გადასვლამდე მღეროდა. გარკვეული წლების შემდეგ ილო ოზურგეთში დაბრუნდა და გაარძელა საქმიანობა ხელოვნებაში.

ილო კარგი მონადირე იყო. ჰყავდა კარგი მეძებარი ძაღლი და ჰქონდა კარგი სანადირო თოფი. ბევრჯერ გავსულვართ რაიონს გარეთ მწყერზე და სხვა გადამფრენ ფრინველზე სანადიროდ.

ერთხელ ჩვენმა საერთო მეგობარმა ოზურგეთის მილიციის უფროსმა იური სიორიძემ ილო ჯინჭარაძე, ილო ინწკირველი, მურმან ქადეიშვილი და მე დავგპატიჟა მწყერზე სანადიროდ კახეთში. იქ მისი კოლეგები დაგვხდნენ. მე და მურმანს მონადირე ძაღლი არ გვყავდა, მაგრამ იმდენი მწყერი იყო ,,სართიჭალას''პურის ყანებში – ყველა ფეხის გადადგმაზე მწყერი ფრინდებოდა. უხვი ნადავლით დავბრუნდით, ბევრი რა თქმა უნდა გავაჩუქეთ.

იური სიორიძეს მამა ვალერიანი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. თითქმის ყოველწლიურად ჩავდიოდით კრასნოდარის მხარის სტანიცა ნოვა დიმიტროვკაში, სადაც საძმო საფლავში განისვენებდა იურის მამა და ომში გამარჯვების დღესასწაულში ვმონაწილეობდით.

ილომ შექმნა შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ თინასათან ერთად. ეყოლათ ორი შვილი –თამარი და მიხეილი. თამარი ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგია.

მიშიკოს მამის ნიჭი გამოჰყვა – კარგად უკრავს გიტარაძე და მღერის. ამჟამად მოღვაწეობს თბილისში.

მიდიოდა მშვიდი და ხალისიანი ცხოვრება მანამ, სანამ არ გავიგეთ ილოს ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. იგი ავტოავარიით გარდაიცვლა 1978 წელს.

დიდი ტკივილი დაგვიტოვა მისმა გარდაცვალებამ ჩვენ –მის მეგობრებს და ოჯახის წევრებს.

ასეთ პიროვნებებს – როგორიც ილია ჯინჭარაძე იყო, დავიწყება არ უწერია.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

ნოვა დიმიტროვკა, 9 მაისის ზეიმზე.

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №1-10 2023

ამბავი ორი ესაძისა

იორის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ტფილისისა, ისე მთელ ქართლ-კახეთისათ ვის. თუ არ ეს გამარ-ჯვება, ტფილისს ერთხელ კიდევ მოელოდა აღა-მაჰმად- ხანისებური აოხრება.

როტმისტრი **ბ. ესაძე“**

მშვენიერი სტატიაა, ფელეტ-ონად მოხსენიებული. არაფერი დაეწუნება მე თუ მკითხავს კაცი და მაინც... ცოტა არ იყოს ეჭვი მიპყრობს, ღირს თუ არა მთელი ფელეტონის „ალიონში“ განთავ-სება?!

არ ვიცი!

დაე, მთავარმა რედაქტორმა, ჩემზე ასჯელ გამოცდილმა და მცოდნემ გადაწყვიტოს.

მე ფელეტონის ავტორის ბიოგრაფია მინდა შევახსენო/ გავაცნო მკითხველს.

საიდან?

რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ-იოთეკის „ბიოგრაფიული ლექსიკ-ონიდან“.

ბორის ესაძე

დაბადების თარიღი: 24 ივლ-ისი, 1864

გარდაცვ. თარიღი: 31 იანვარი, 1914 (49 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი: ვაკის სასაფლაო, თბილისი

კატეგორია: ისტორიკოსი, ჟურნალისტი, სამხედრო პირი

ბიოგრაფია

დაამთავრა ქ. ტვერის იუნკ-ერთა საკავალერიო სასწავლებელი.

სამსახური დაიწყო ნოვ-ოროსიისკის დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახ-ელობის დრაგუნთა პოლკში (1882). იმავე წელს ჩაირიცხა ტვერის საკავალერიო სასწავლე-ბელში, რომლის დამთავრების შე-მდეგ (1886) მსახურობდა კავკასი-ის არმიის სხვადასხვა ნაწილში საშტაბო თანამდებობებზე. პას-უხსაგები თანამდებობები ეკავა ყარსის ოლქში. 1911 წელს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის ჩინი. მას ეკუთვნის ნაშრომები რუსეთის არმიის ცალკეული სამხედრო ნაწ-ილების ისტორიის, გამოჩენილი მხედართმთავრების ცხოვრება-მოღვაწეობის, რუსეთის არმიაში ქართველების ღვაწლის შესახებ. იყო რუსეთის სამხედრო-ისტორი-ული და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებების კავკასიის განყ-ოფილების ნამდვილი წევრი. მას ეკუთვნის საინტერესო დაკვირვე-ბანი რუსეთ-საქართველოს ისტო-რიული ურთიერთობების შესახებ. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პროპ-აგანდაში. განსაკუთრებით აღსან-იშნავია მისი კრებული „საქა-რთველოს მატიანე"(ნაკვ. I, თბ., 1913 და „მთელი კავკასია“ (1,თბ. 1903,ორივე რუსულ ენაზე). დიდი ენერგია შეალია ქართული ისტო-რიული ძეგლების მოვლა-პატრონობას. აქტიურად მონაწ-ილეობდა „საქართველოს საის-ტორიო და საეთნოგრაფიო საზო-გადოებების“ დაარსებაში. 1905 წელს გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „საქართველოს გამო-ჩენილ ადამიანთა ცხოვრება. ბარ-ათოვის ტომი" (თბ.,1905, რუსულ ენაზე), რომლის შემოსავალი მოხ-მარდა ნ. ბარათაშვილის ძეგლის მოწყობას(ეს ძეგლი, რომელიც დადგა დიდუბის პანთეონში, 1938 წელს გადატანილი იქნა მთაწმინდაზე). დაარსა რამდენიმე რუსული პერიოდული ორგანო „კავკაზსკი კრაი“ (1905), „კავკაზსკაია არმია“ (1907), რომელსაც ჰქონდა ორი ყოვე-ლკვირეული დამატება „კავკაზსკი ვეტერან" (ვეარისკაცებისათვის) და „კავკაზსკი ვოენნი ვესტნიკ“ (ოფიცრებისათვის). იყო გაზეთ „ყარსის“ რედაქტორი (26. I. 1910-2.VII.1911). აქვეყნებდა პუბ-ლიცისტურ წერილებს (ფსევდონ-იმები: „ბუდილნიკი", „ბლაგოჟე-ლატელი", „ბეზ პსევდონიმა", „გ. კარტველი", „ზემეცი“ და სხვ.). საზოგადო და სამხედრო მოღვაწე. გამომცემელი.

წყარო: საქართველო: ენციკ-ლოპედია: ტ.III.–თბ., 2014.–გვ.97; ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. წ. 1/ შეადგ., წინასიტყვაობა, შენიშვნები და სახელები დაურთო სოლომონ ხუციშვილმა. -თბ.,1961. -გვ.131

ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი:

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყ-ოფილება, ნამდვილი წევრი

რუსეთის სამხედრო-ისტორი-ული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, ნამდვილი წევრი“

ბევრისმომცველი ბიოგრაფია! და მაინც არის ჩემს მიერ მონიშნული ბიოგრაფიის გვირგვინი!

რა ვიცი, მე ასე ვფიქრობ და თქვენი თქვენ იცით გაზეთ „ალიონის“ მკითხველო!

„მატიანეს“ კალენდრით 1903 წლის 27 ნოემბერია.

„ბორის ესაძე (ილიას) წარწერით უძღვნის კრებულს „მთელი კავკასია, ილუსტრირებუ-ლი საცნობარო-ლიტერატურული კრებული“ („Весь Кавказ“, Иллюстрированный справочно-литературный сборник. Тфл., 1903.)

მართლა საინტრესო წიგნია, რამდენადაც მახსოვს, ინტერნე-ტშიც იძებნება...

თუ დაინტერესდებით, ნახეთ, წინაადმდეგი როდი ვიქნები,თუ ჩემ სტატიას ცოტა ხნით გვერდზე გადადებთ და ინტერესს დაი-კმაყოფილებთ. მე მანამდე, „მატიანეს“ დავუბრუნდები და 1907 წლის 16 აპრილის ამბავს კიდევ ერთხელ წავიკითხავ: ილია „სამადლობელ წერილს უგზავნის სიმონ ესაძეს მის მიერ შედგენილი წიგნის „კავკასიის მართვა-გამგე-ბლობის ისტორიული ჩანაწერი“ მიძღვნისათვის (Историческая записка об управлении Кавказом. В 2 т. Тифлис, 1907).

წერილი, უფრო დეპეშა, რუსულ ენაზეა შედგენილი და რადგან, ილიას ტექსტის თარგმნა გარდა სურვილისა, ჩემგან სხვა უნარებს საჭიროებს (რომელიც სამწუხაროდ, მე სათანადოდ არ გამაჩნია) ამიტომ თარგმანს ორიგ-ინალს წინ წარუმძღვარებ:

Глубокоуважаемый Семен Спиридонович!

Примите мою сердечную благодарность за Вашу «Историческую записку», присылкой которой Вы меня почтили. Я с большим удовольствием и с пользою для себя читаю эту прекрасно составленную «Записку» и мысленно рукоплещу ее автору. Дай бог Вам еще и долгодолго работать на пользу Вашей Измученной Родины и во славу Вашего имени.

Искренно преданный Вам Илья Чавчавадзе“

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულ-წრფელი მადლიერება თქვენი „ისტორიული ჩანაწერისთვის“, რომლიც დიდი პატივი დამდეთ და გამომიგზავნეთ. დიდი სიამოვნ-ებითა და სარგებლობით კითხუ-ლობ ამ ლამაზად შედგენილ „ჩანაწერს“ და ფიქრებში ხელს ვართმევ მის ავტორს. ღმერთმა დაე,ღმერთმა მოგცეთ ძალა დიდხ-ანს იშრომოთ თქვენი ტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ და თქვენი სახელის სადიდებლად.“

დამეთანხმეთ, ილია უნდა იყო, ნაშრომი ასე ღირსეულად რომ შეაფასო სულ ორიოდ სიტყვაში!

სიმონ ესაძის ბიოგრაფიის თქვენთვის გაცნობის დრო დადგა, გაზეთ „ალიონის“ მკითხველო.

სიმონ ესაძე

დაბადების თარიღი; 4 თებ-ერვალი, 1868

გარდაცვ. თარიღი: 15 თებ-ერვალი, 1927 (59 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი: დიდუბის პანთეონი, თბილისი

კატეგორია: სამხედრო პირი

ბიოგრაფია

სწავლობდა კადეტთა კორპუსში; დაამთავრა კონსტანტ-ინოვსკის საარტილერიო სასწავ-ლებელი ოფიცრის ჩინით 1888 წელს.

1898 წლიდან მუშაობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო-საისტორიო განყოფილების რედაქ-ტორად, ხოლო 1913 წლიდან განყოფილების უფროსად; 1912 წლიდან იყო კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის დირექ-ტორი; 1918 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ იგი დანიშნა ფრონტის სამხედრო საისტორიო განყოფილების უფროსად; 1921 წლის 10 აგვის-ტოდან ხელმძღვანელობდა სახ-ელმწიფო საარქივო სამმართ-ველოს სამხედრო სექციას, ხოლო 1923 წლიდან გარდაცვალებამდე სათავეში ედგა სამხედრო-საისტო-რიო არქივს; მისი რედაქტორობით გამოიცა „კავკასიის კრებულის“ 14 ტომი,რომელშიც გაშუქებულია 1826-1828 წწ. სპარსეთთან, 1828-1829წწ. თურქეთთან და 1823-1845წწ. მურიდიზმთან ომების ისტორია; 1898 წელს გამოვიდა მისი წიგნები: „ტვერის დრაგუნები კავკასიაში“ და „აღმოსავლეთის ომი"; შემდეგ მეცნიერმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები კავკასიის ისტორიის საკითხებზე: „ისტორიული წერილები კავკასი-ის მმართველობის შესახებ", „ლუნიბის აღება და შამილის დატყვევება",„ისტორიული ნარკვე-ვი კავკასიის ომების შესახებ ჩაჩნეთსა და დაღესტანში", „და-სავლეთ კავკასიის დამორჩილება და კავკასიის ომების დასასრული"; **იგი იყო ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი პიონერი;** 1908-1909წწ. შექმნა კინოქრონიკა კავკასიის არმიის ცხოვრებიდან, ხოლო 1915 წელს გადაიღო ფირი კავკასიის ფრონტზე სარბოლო მოქმედებების შესახებ; 1913 წელს ოქტომბერში ეკრანებზე გამოვიდა მისი სცენარითა და მონაწ-ილეობით შექმნილი ფილმი „ლუნი-ბის აღება“, რომელიც გადაიღეს კინომრეწველებმა ტალდიკინმა და დრაკნოვმა; 1915 წელს მას მიეცა კინოფოტოგადაღებების უფლება კავკასიის ფრონტზე; მან გადაიღო ფილმები „არზრუმის დაცემა“, „ტრაპეზუნდის აღება“, „დაპყრო-ბილი თურქული ქალაქები“; იგი თან ახლდა მოიერიშე ჯარის ნაწ-ილებს, რომლებიც არზრუმს უტევდნენ და ამავე დროს აწარ-მოებდა კინოგადაღებას; ესაძემ ფირზე აღბეჭდა ისეთი მნიშ-ვნელოვანი პოლიტიკური მოვლე-ნა ქართველი ხალხის ცხოვ-რებაში როგორიც იყო ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია 1921 წელს; სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მკვლევარი, კავკასიისმცოდნე.

წყარო: მამულიშვილთა სავანე. - თბ., 1994. - გვ.138“.

დამეთანხმეთ, საოცარი ბიოგრაფიის კაცია და, ამის კიდევ დასტურად, ჟურნალ „თბილი-სელებში“ გამოქვეყნებული სტა-ტიიდან „ვინ იყო ქართველი, ვის საქმიანობასაც ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით აფასებდა და რა აკავშირებდა მას ლევ ტოლსტოისთან (ავტორი: ქეთი მოდებაძე; 07.06, 2022 წელი, ბმული:https://tbiliselebi.ge/ka/news/society/vin-iko-kartveli-vis-sakmianobasats-ilia-chavchavadze-gansakutrebit-aphasebda-da-ra-akavshirebda-mas-lev-tolstoistan), საკმაოდ ვრცელი ამონარიდი შემოგთა-ვაზოთ:

„სიმონ ესაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული კინოს ისტორიასთან. იგი პირველი ქართველი სამხე-დრო კინოდოკუმენტალისტია. მან 1908-1909 წლებში შექმნა კინო-ქრონიკა კავკასიის არმიის ცხოვრებიდან. 1913 წელს ეკრ-ანებზე გამოვიდა მისი სცენარითა და მონაწილეობით შექმნილი ფილმი „კავკასიის დაპყრობა“. „კავკასიის დაპყრობა“ რუსეთში რომანოვების დინასტიის მეფობის 300 წლისთავს მიეძღვნა. ეს იყო სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავდა ერეკლე მეორის მეფობის პერიოდს, აგრეთვე, რუსეთის არმიის ომებს ოსმალების, სპარსე-ლების და, ასევე, შამილის მიერ აკანყებული მთიელი კავკასიელების წინააღმდეგ. სცე-ნარი ეყრდნობოდა სამხედრო-ისტორიული მუზეუმის საექსპონა-ტო მასალებს.

ფილმმა, არა მარტო სამეფო ოჯახის სიმპათია, არამედ საერთო დიდი წარმატებაც მოიპოვა. მას წლების განმავლობაში აჩვენებდნენ საზღვარგარეთ, მაგრამ სამწუხარ-ოდ, როგორც იმ დროის გადაღებულმა ბევრმა ფილმმა, ამ ფილმმაც ვერ მოაღწია დღევანდელ ეპოქამდე.

1915 წელს სიმონ ესაძეს მიეცა კინო-ფოტოგადაღებების უფლება კავკასიის ფრონტზე. იგი თან ახლდა მოიერიშე ჯარის ნაწ-ილებს და ამავე დროს აწარმოებ-და კინოგადაღებას. მისი ხელ-მძღვანელობით კინოგადამ-ღებმა ჯგუფმა შექმნა რამდენიმე ისტო-რიული მნიშვნელობის ქრონიკა და მათი ჩვენება 1916 წელს გაიმართა. ესენია: „არზრუმის დაცემა“, „ტრაპეზუნდის აღება“, „დაპყრობილი თურქული ქალაქე-ბი“.

სიმონ ესაძე მეგობრობდა და თანამშრომლობდა ლევ ტოლსტო-ისთან. აწვდიდა მას კავკასიის ომების ამსახველ საარქივო მასალას მოთხრობა „ჰაჯი მურატისთვის“. სიმონმა პირველმა გამოაქვეყნა ლევ ტოლსტოის 4 ბარათი.

სამეცნიერო მოღვაწეობა სიმონ ესაძემ მეცხრამეტე საუკუ-ნის მიწურულს დაიწყო. 1898 წელს გამოვიდა მისი წიგნები: „ტვერის დრაგუნები კავკასიაში“ და „აღმოსავლეთის ომი“. შემდეგ კი მეცნიერმა შექმნა ფუნდამენ-ტური ნაშრომები კავკასიის ისტორიის საკითხებზე: „ისტორი-ული წერილები კავკასიის მმართველობის შესახებ“, „ლუნიბის აღება და შამილის დატყვევება“, „ისტორიული ნარკვევი კავკასიის ომების შესახებ ჩაჩნეთსა და დაღესტანში“, „დასავლეთ კავკასი-ის დამორჩილება და კავკასიის ომების დასასრული“.

სიმონ ესაძე აშუქებდა რუსეთ-საქართველოს ისტორი-ული ურთიერთობის საკითხებს. თავის გამოკვლევებში ცდილობდა, დაედგინა საქართველოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის კავკასიის პოლიტიკაში. კაპი-ტალური ნაშრომი მიუძღვნა კავკასიაში რუსეთის ადმინის-ტრაციული მართვის ისტორიას. აქვს აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილი საინტერესო გამოკვ-ლევები. რუსეთის სამოქალაქო ომის წლებში განადგურებისაგან იხსნა ვლადიკავკაზის ადგილო-ბრივი ბრიგადისა და ყიზლარის არქივების 100 ათასამდე საქმე.

სიმონ ესაძის მოღვაწეობას დადებითად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. სიმონი გარდაიცვალა თბილისში 1927 წელს. იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში“.

ერთმანეთის სადარი ძმებია!

სხვას, ამჯერზე, მე ვერაფერს ვიტყვი!!!

სხვა დროისთვის გადავდოთ...

წინ, კიდევ ილიას და რამდენ-იმე გურულის ურთიერთობის ამბები გვაქვს გასახსენებელ/გასაც-ნობი!

გიო კილაძე

ჯარიმებით ბიუჯეტის შევსების მაჩვენებელი იზრდება

ჯარიმებით ბიუჯეტის შევსების მაჩ-ვენებელი იზრდება. კერძოდ, წლიურად ბი-უჯეტში ჯარიმებიდან - 1,5-ჯერ ანუ 50-,3%-ით მეტი თანხის მობილიზება მოხდა.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-მარტში ბიუჯეტში სან-ქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან 83 047 656 ლარი შევიდა. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტში - 35 529 746 ლარი, ხოლო ტერიტორიული ერთეუ-ლების ბიუჯეტში - 47 517 909 ლარის მობილიზება მოხდა.

რაც შეეხება გასული წლის მონაცემებს, 2022 წლის იანვარ-მარტში ბიუჯ-ეტში სან-ქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან 55 240 295 ლარის მობილიზება მოხდა. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში - 26 196 645, ხოლო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში - 29 043 650 ლარი შევიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წელს ბიუჯეტში ჯარიმებიდან რეკორდული თანხა შევიდა. კერძოდ, გასული წლის განმავლობაში ბიუჯეტში სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან 281 741 849 ლარის აკუმულირება მოხდა. აქედან, სახ-ელმწიფო ბიუჯეტში - 129 720 204 ლარი, ხოლო ტერიტორიული ერთე-ულების ბიუჯეტში - 152 021 644 ლარის მობი-ლიზება მოხდა.

ამასთან, სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-მარტში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოს-ულობებმა ჯამში, 7 709 389 609 ლარი შეადგინა.

ცნობისთვის, ნაერთი ბიუჯეტი საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური და ადგ-ილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტია, რომელიც არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტ-კიცებას.

ლაშა ჭეფხოძე ოქროს ქამრის მფლობელი გახდა!

ქ. ერევანში, კიკბოქსინგში საერთაშორისო ტურნირი გამართა.

მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებაში ყაზახეთის, ირანის, სომხეთის და საქართველოს სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა კიკბოქსინგის სექციის მწვრთნელმა და მოქმედმა სპორტსმენმა **ლაშა ჭეფხიძემ** რინგზე სომეხი მოწინააღმდეგე დაამარცხა და პირველ ადგილსა და ოქროს ქამარს ღირსეულად დაეუფლა.

ვულოცავთ ლაშას დიდ წარმატებას!

გურამ მუჯირის გახსენება



10 წელი გავიდა, რაც უაცრად უსიტყვოდ, გამოუმშვიდობლად დატოვე ოჯახი და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე.

დღეს 90 წელი შეგისრულდა, ცრემლიანი გიხსენებთ. ბევრი ტკივილი დატოვე. შენ ხომ იყავი განუმეორებელი მამა, მეუღლე, ბაბუა, ძმა, დედმამიშვილი, მეგობარი, სანიმუშო პედაგოგი.

მრავალი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდი მერიის საჯარო სკოლაში მოსწავლეახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იყავი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მხატვარი, მოქანდაკე.

შენი გაწონასწორებული ხასიათი, იუმორი, ყველგან იმსახურებდა პატივისცემას. ტკივილებს, რომელიც გაწუხებდა, არ იმჩნევდი. დადიოდი გულჩათხრობილი, მორიდებული. ბოლოს მაინც ვერ გაუძლო შენმა გულმა ტრაგიკულად დაღუპული შვილის კახას სიკვდილს, რომელსაც ორ თვეში შენი მეუღლეც მიჰყვა.

ჩვენს მეხსიერებაში შენ დარჩები ღირსებით, პატიოსნებით და კაცურ-კაცობით გამორჩეული.

შენი შვილები, შვილიშვილები კი გაარძელებენ იმ გზას, რომელსაც გურამ მუჯირის ოჯახი ჰქვია.

სამუდამო სასუფეველში გილოცავთ დაბადების 90 წლისთავს და იმინე მშვიდად.

შენი **ოჯახი, ახლობლები.**

სულთათანა

ლამარა ბაჯელიძის ხსოვნას

სსიპ ქალაქ ოზურგეთის 4 საჯარო სკოლა რუდუნებით ინახავს იმ ადამიანთა ღვაწლს, რომლებმაც უდიდესი ძალისხმევით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარ-ულით, ადამიანური ღირსებებით ჩაუყარეს საფუძველი ჩვენი სკოლის დღევანდელობას.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება უმშვენიერესი ქალბატონი, გაკვეთილის ჭეშმარიტი მაესტრო, ღირსეული მამულიშვილი ქალბატონი **ლამარა ბაჯელიძე.**

ქალბატონი ლამარა წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს სკოლაში, ჯერ ხაზვის მასწავლებლად, შემდეგ - დირექტორად. ის გამოირჩეოდა დახვეწილი შინაგანი კულტურით, ორგანიზატორული ნიჭით, მახვილგონებით, სიახლისაკენ ლტოლვით, შემოქმედებითი უნარით.

სკოლაში მუშაობის მანძილზე ლამარა ბაჯელიძემ კოლექტივის დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

1989 წლამდე უძღვებოდა იგი ოზურგეთის 4 რუსულ საშუალო სკოლას და, შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს იყო ძების, შემოქმედებითი მუშაობის, აღმავლობის, სასწავლო პროცესის სრულყოფის წლები.

სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ხაზვის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა: შეიქმნა სრულყოფილი კაბინეტი, ფუნქციონირებდა ხაზვის წრე, რომლის წევრები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებში.

ქალბატონი ლამარა ბაჯელიძის დირექტორობის პერიოდში განმტკიცდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაინერგა კაბინეტური სისტემა, განახლდა ბიბლიოთეკა, ტარდებოდა მრავა-ლი საინტერესო ღონისძიება.

ქალბატონ ლამარა ბაჯელიძეს, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებთან ქონდა ურთიერთობა. ის მათ ასწავლიდა და ეხმარებოდა არ დაეკარგათ თავისი იდენტობა და ამავდრ-ოულად უნერგავდა საქართველოს სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობას.

მისი აღზრდილები დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობენ. ამ წარმატების საფუძველი კი ლამარა სტეპანოვნას (როგორც მას ეახდენენ პატივისცემის ნიშნად) სწორი, მიზანმიმართული და გულისხმიერი დამოკიდებულებაა თითეული მათგანის მიმართ.

გაივლის წლები და ლამარა ბაჯელიძის სახელი სკოლის ისტორიაში დარჩება როგორც სამართლიანობის, სიკეთის, კომპეტენტურობის, მამულიშვილობის, ღირსების, ადამიანობის, სიყვარულისა და მეგობრობის ნათელი სიმბოლო.

ტარიელ კალანდაძე,
ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი

სკანვორდი



პასუხები:

ლეონარდო დიკაპრიო; ალეთეა ჯონსონი; ფანტაზია; ფიზიკოსი; ალბერტ აინშტაინი; ბერძენი ფილოსოფოსი; ეროვნული ბიბლიოთეკა; ბერძენი ფილოსოფოსი; ალბერტ აინშტაინი

სულთათანა

ლამარა ბაჯელიძის მონატრება

უშენობის 40 დღე სრულდება, დედა! როგორ მიჭირს შენზე წარსულით საუბარი, როგორ შევჩვიოთ უშენობას არ ვიცი... თითქოს ამოვვარდი ჩვეული რიტმიდან. მამას გარეშე ცხოვრებას ხომ ერთად ვსწავლობდით შენ, გია და მე. ერთმანეთს ვაძლებინებდით და ახლა ვინ გაგვაძლებინოს უშენობა შენს საყვარელ შვილებს, რძლებს, სიძეებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს?! ყველას გვაკლიხარ და ძალიან გვენატრება შენი საუბარი, დარიგებები, ღიმილი. შენი ენერგიული და საინტერესო ცხოვრების ყოველდღიურობა მენატრება ჩემო მუდამ საქმიანო, ჭკვიანო, ფუსფუსა, მზრუნველო და მოსიყვარულე დედიკო. შენი ცხოვრება არის ოჯახის ერთგულების, საქმისადმი სიყვარულის და პროფესიონალიზმის მაგალითი ყველასთვის. ეს არის ცხოვრება ბევრი წარმატებისა და სიხარულის, მაგრამ ამავე დროს, ტკივილით სავსეც. შენი და მამას სიყვარულის ისტორია, თქვენი ურთიერთობები ხომ არის და მუდამ იქნება ყველასთვის გამორჩეული, მისაბაძი, სითბოთი აღსავსე, ხშირად ღიმილიანი და გულის გულში ჩამწვდომი. მამას შენდამი მოძღვნილი უამრავი ლექსი თავად ჰყვება იმ დიდი გრძნობის და წლების შესახებ, რამაც თქვენი სტუდენტობა და ცხოვრება გაალამაზა და გააფერადა. ერთ დღესაც ვერ ძლებდით შენ და მამა უერთმანეთოდ და მჯერა, ახლა ერთად ხართ ჩვენს ლადუნასთან, თქვენს მოამაგე მშობლებთან და საყვარელ და-ძმებთან ერთად.

იყო უკრაინაში ცხოვრების მრავალი საინტერესო წელი. რთული და გამოწვევებით სავსე სამუშაო დონეცკის მაღაროებში, სადაც შენი ნიჭიერებით აღაფრთოვანე ყველა და გამოგონებებით კი, მრავალი წელი სარგებლობდნენ მაღაროელები. გთხოვდნენ, დარჩენილიყავით სამუდამო საცხოვრებლად უკრაინაში, მაგრამ შენ და მამას საქართველოსკენ გამოგიწიათ გულმა მაინც...

ოზურგეთის რაიონს ახსოვს შენი ღვაწლი და პროფესიონალიზმი, მრავალი აღზრდილი და საამაყო თაობა. ჯერ იყო მე-4 რუსული საშუალო სკოლის დირექტორობის წლები, რაც სკოლისთვის იყო აღმასვლის, განვითარების და პოპულარობის ზენიტი. მაშინ უამრავ სხვა სიკეთესთან ერთად, პირველად შეიქმნა სკოლის ქართული სექტორი. მემაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ჩვენს სახლში თუ ტელეფონზე დედასთან უამრავი ადამიანის ვიზიტი და ზარი თხოვნით— როგორმე მე-4 სკოლაში მიეღოთ მათი შვილი თუ შვილიშვილი. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ დედას დირექტორობის წლები იყო ბუმი მე-4 საშ.უალო სკოლის არსებობის ისტორიაში, რაც დღესაც ღირსეულად გრძელდება უკვე მე-4 საჯარო სკოლაში.

შემდეგ იყო ქ. ოზურგეთის საქალებო პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნა, ზრუნვა პროფესორ-მასწავლებლების მოწვევაზე, მრავალი ნაყოფიერი წელი, აღზრდილი პროფესიონალი კადრი და მადლიერება მთელი გურიის რეგიონისგან, იმ ოჯახებისგან, ვისაც არ ჰქონდათ საშუალება თბილისში სასწავლებლად გაეგზავნათ შვილიან,სხვა მიზეზების გამოერჩივნათ თავიანთ რაიონშივე გაეგრძელებინათს წავლა.

შემდეგ უკვე იყო სოფელ გომის სკოლის დირექტორობის წლები, დაღალავი შრომა და რაიონის წამყვანი სპეციალისტებისა თუ მთავარი პირების ჩართვა სკოლის შენობის გენერალური რესტავრირებისთვის, სათემო საზოგადოება „გომი“-ს დაარსება და ზრუნვა, სოფლისთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებაზე, რითაც ძალიან მადლიერი იყო სოფლის მოსახლეობა.

დედა! დიდი და შეუფასებელია შენი ამაგი და სიყვარული ოზურგეთის, შენი კოლეგების, მეგობრებისა თუ მზრუნველი მეზობლების, მთელი რაიონისადმი, იმ თაობებისადმი, რომლებსაც შეალიე შენი შეგნებული ცხოვრება, შეაყვარე და პოპულარული გახადე რაიონში შენი პროფესია, საგანი „ხაზვა“. იყავი რეგიონის მთავარი მეთოდისტი ხაზვაში და დიდი ამაგი გაქვს ამ დარგის და საგნის წამოწევასა და სპეციალისტების პროფესიული დონის ამაღლებაში. როგორ უყვარდათ და უხაროდათ შენი ხაზვის გაკვეთილები თუ ოლიმპიადები მოსწავლეებს, დღემდე როგორი სითბოთი და სიყვარულით გიხსენებენ, იხსენებენ იმ ბედნიერ წლებს, როცა დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებოდნენ სკოლებში,რამდენ თბილ სიტყვებს გიგზავნიან, რაც შენს გულს ძალიან ახარებდა. ეს ყველაფერი მოთხრობილი გაქვს შენს წიგნში - „მოგონებები“, რომელიც მამას თხოვნით დაწერე და გპირდებით, აუცილებლად გამოვცემთ და დავურიგებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასი იყო შენთან ურთიერთობა და საინტერესო შენი ცხოვრება. ამ წიგნით შენ ხომ შენი და შენი წინაპრების ისტორია გააცოცხლე და მოგონებებად აკინძული დაუტოვე შენს შთამომავლობას.

არასოდეს დამავიწყდება შენი ნაშრომი, ძარღვიანი ხელებით და თბილი თითებით ბოლო, ნაზი მოფერება თმებზე და კოცნა ლოყაზე, ჩემომ ზრუნველო, საყვარელო დედიკო...

უფალს ვთხოვ, მარადისობაში დაიმკვიდროს შენმა ლამაზმა სულმა ადგილი. ჩვენ მოვალთ, სანთელს დაგინთებთ, ყვავილებით გაგილამაზებთ შენს სამუდამო საუფლოს და ვილოცებთ შენი, მამას, ლადუნას და ყველა შენი საყვარელი ადამიანების სულებისათვის. თქვენთვის ანთებული სანთლები და აღვლენილი ლოცვები გინათებდეთ ცათა სასუფეველს, სადაც მხოლოდ უბოროტონი, კეთილნი და მართალნი განისვენებენ! მსუბუქი იყოს თქვენთვის დუშეთის საგვარეულო მიწა.

უზომო მონატრებით და სიყვარულით,
შენი შვილები **— გია და ქეთი მაჭავარიანები**

ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში



გ) არანაკლებ საყურადღებოა ერთი ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვის ფაქტი მეორე ადგილობრივი ეკლესიისაგან, რომელიც პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებზე დაყრდნობით მოხდა. თუმცა ამ მოვლენის ამსახველ ფაქტებს სასამართლო საქმეების სახით ჩვენ ვხვდებით კართაგენის კრების მამების ეპისტოლეში რომის პაპ ცელესტინისადმი. დავა ორ ადგილობრივ ეკლესიას - კართაგენსა და რომს შორის წარმოიქმნა შემდეგი მიზეზით: "აპიარი, ერთ-ერთი ეპისკოპოსის მღვდელი, რომელიც კართაგენის ეკლესიას ექვემდებარებოდა,არ დაემორჩილა თავისი ეკლესიის განაჩენს და მფარველობისათვის რომის მიერ დადგენილ ეპისკოპოს ზოსიმეს მიმართა, რომელმაც ყურად იღო აპიარის თხოვნა და კრებაზე დელეგატები გაგზავნა - ეპისკოპოსი ფავსტიანე და მღვდელი ფილიპე - იმ მიზნით, რომ კართაგენის კრებას კვლავ გადაეხედა აპიარის საქმისათვის. კართაგენის კრების მამებმა ამჯერად დათმობა ამჯობინეს და რომის ეპისკოპოსის მოთხოვნა აღასრულეს: მისი დელეგატების თანდასწრებით ხელახლა გადაისინჯა აპიარის საქმე. საქმის განხილვისას აპიარმა აღიარა უმძიმესი დანაშაულებები, რის შემდეგაც მას კრებამ მღვდლობის უფლება საბოლოოდ ჩამოართვა. მართალია, კართაგენში შეკრებილმა მამებმა ეს ერთგვარი დათმობა დაუშვეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მკაცრად და დაწვრილებით განიხილეს რომის ეპისკოპოსის მეორე მოთხოვნაც — გადასინჯულიყო ნიკეის კრების კანონები.

თუკი ჩვენ ვიკითხავთ, თუ რას ემყარებოდნენ კართაგენის კრების მამები, როცა ასე მტკიცედ იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას, პასუხი მხოლოდ ერთია: ძველ ტრადიციებს! კართაგენის კრების მამების სიტყვებში აღსანიშნავია ეკლესიის ტრადიციების ეროვნულობის დასაბუთების მცდელობა, რომლის დაცვაც ყველას დაავალა (უანდერძა) ნიკეის კრებამ. მან თავის დროზე გონივრულად და სამართლიანად აღიარა, რომ როგორი სახის საქმეებიც არ უნდა წამოიჭრას, ისინი უნდა განიხილონ და აღასრულონ ადგილებზე".

ზემომოტანილი ისტორიული ექსკურსის შემდეგ პროფესორი ნიკოლაი ზაოზერსკი უფრო კონკრეტულ საკითხებს ეხება:

„თუკი ადგილობრივი ეკლესიის ხანდაზმულობა უკვე არსებული ავტოკეფალიისათვის საკმარის კანონიკურ საფუძველს წარმოადგენს, მაშინ ადგილობრივი ეკლესიის გარკვეული ნაწილის ეროვნული ანუ პოლიტიკური გამოცალკევება უკვე ემსახურება ახლადჩამოყალიბებული ეკლესიის გამორჩეულობას. როგორც სლავური, ასევე ჩვენი, მშობლიური ეკლესიის ისტორია გვიდასტურებს, რომ ზუსტად ეს საფუძველი მოქმედებდა, როდესაც მათ ავტოკეფალურობას ადგენდნენ. როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მისიონერები სლავებს შორის ქრისტიანობას ავრცელებდნენ, მათ ყველგან (აქაც და იქაც) დაარსეს საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც, რა თქმა უნდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შევიდა და, თავის მხრივ, პატრიარქიც სრულ დაქვემდებარებაში ამყოფებდა მათ: აკურთხებდა და თუ საჭირო იყო, სჯიდა კიდეც. მაგრამ შემდეგ ეროვნულმა სიძლიერემ, ენითა და ზნე-ჩვეულებით უცხო, თავის სულიერ განმანათლებლებთან და წინამძღვრებთან მძიმე ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, მოამწიფა საეკლესიო თვითმმართველობის იდეა(...). კონსტანტინოპოლელი პატრიარქებიც ჯეროვნად აფასებდნენ ამ განზრახვის კანონიკურობას, რაც თვითმმართველი ეკლესიების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. თუმცაღა, თუკი ზოგჯერ, სინამდვილეში, არცთუ ისე იოლად თმობდნენ თავის საპატრიაქოს უფლებებს ამა თუ იმ ნაწილზე, ეს რაიმე კანონიკური პრინციპიდან კი არ მომდინარეობდა, არამედ, უბრალოდ, არ სურდათ თავიანთი მმართველობის დათმობა(...).

აი, ასეთია კანონიკური და საეკლესიო-ისტორიული საფუძვლები, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას".

მოხსენების დასასრულს პროფესორმა **ნიკოლაი ზაოზერსკიმ** *უმთავრესი კითხვა დასვა და ამ კითხვაზე პასუხიც თვითონვე გასცა:*

„კანონიკურია კი ამჟამინდელი მართლმადიდებელი ქართველების სწრაფვა საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის? — საქმე გვაქვს არა ახალი ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებასთან, არამედ უძველესი დამოუკიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა ორი ან სამ, ყველაზე მცირე, შვიდი საუკუნის მანძილზეც კი იყო ავტოკეფალური, კათოლიკოსით სათავეში. მთელი ამ დროის განმავლობაში, ყველანაირი გამოცდის მიუხედავად, ივი თავგამოდებით იცავდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. საქართველოს სამოციქულო ეკლესია გამდიდრდა მშობლიურ ენაზე არსებული წმიდა წერილის, საღვთისმსახურო წიგნების, კანონიკური მწერლობის, წმიდათა ცხოვრების, ბიზანტიური მწერლობის უამრავი თარგმანების საშუალებით. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეროვნული ტრადიციები შეიმუშავა, რომლებიც საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებებს და შიდა მართვის წესებს ეხებოდა, გულმოდგინედ იცავდა თავისი სიწმიდეებისა და კეთილმსახურების გადმოცემებს, რისი მატარებელნიც მათი წმიდა მამები იყვნენ. ეს კი განსაკუთრებული საეკლესიო მდგომარეობაა, ჩამოყალიბებული ეროვნულ ზნე-ჩვეულებებზე დაყრდნობით, რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ კიდევ უფრო ძლიერ მეტყველებს, ვიდრე მისივე მრავალსაუკუნოვანი წარსული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასწლოვანი დაქვემდებარების განმავლობაში სათავეში ეგზარქოსები ედგნენ. ეგზარქოსები წმიდად და თავგამოდებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ემსახურებოდნენ ენითა და ზნე-ჩვეულებით უცხო ხალხს. აქ არ შევეხებით და არ დავიწყებთ ეგზარქოსების ნაყოფიერი მსახურების შეფასებას, არამედ დავსვამთ უფრო მნიშვნელოვან კითხვებს: თვითონ თუ იყვნენ ეგზარქოსები კმაყოფილნი საკუთარი მოღვაწეობით? დაუახლოვდნენ თუ არა ისინი უცხოტომელ მრევლს? აქვე შეიძლება ამ კითხვის სხვა კუთხითაც დასმა: იყო კი კმაყოფილი ეგზარქოსების მრევლი მათი მოღვაწეობით? დადებითი პასუხის გაცემა ამ კითხვებზე მეტად რთულია, რადგან თუკი საქმე კარგად მდიოდა, მაშინ როგორ შეიძლება ავხსნათ ეგზარქოსების ასეთი ხშირი ცვლა და მათი ისევ რუსეთში დაბრუნება(...).

დაბოლოს, ქართველებისა და რუსების ეროვნული განსხვავებულობა მეტად ხელის შემშლელია იმისათვის, რომ 5-6 წლის განმავლობაში რუს ეპისკოპოსს შეძლებოდა ქართველ მრევლთან დაახლოება. საქართველოს ეკლესიის ასწლოვანი დამოკიდებულება რუსეთის ეკლესიისადმი არასოდეს დამთავრებულა თანხმობით. საეკლესიო მშვიდობის სახელით წარმატება მოჰყვებოდა შემდეგ ნაბიჯს - რუსეთის ეკლესიას უარი რომ ეთქვა დედობრივი მეურვეობის აღსრულებაზე საქართველოს ეკლესიის მიმართ, ამასთანავე, მისთვის დაებრუნებინა თვითმმართველობის უფლება, როგორსაც ფლობდნენ სხვა ადგილობრივი ეკლესიები და კანონიკურად სარგებლობდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში..."ასე დასრულა თავისი სიტყვა რუსმა პროფესორმა ნიკოლაი ზაოზერსკიმ.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 524-526

დასწყისი იხ. „ალიონი“№18-32,2022წ, №3-10, 2023 წ.

„ჩემი სული და გული აქ ჩავდე, ყველაფერი აქაა წარმოდგენილი...“

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა 5 მაისს, თვითნასწავლი მხატვრის, **სათუნა ბებურიშვილის** რიგით მეორე, პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.

ხელოვნება თავად ქმნის გე-მოვნებას, თუ გემოვნება აყალიბებს ხელოვნებას თავად, ამ კითხვაზე პასუხი გამოფენილ ექსპონატებში იკითხება. 100-ზე მეტი ნამუშევარი, ფერწერა, დეკორატიული ხელოვნება, ვიტრაჟული ხატვის ნიმუშები.

ფერთა სინაზე და სინატიფე დარბაზის სიღრმისკენ იზიდავს სტ-უმრებს. თუმცა, დასწყისში გამოფენილი ტილო „მამას“, ვფიქრობ, განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს გარემოს. ცხოვრებისგან გადატეხილი ხე, სივრცეში გაზიდული ტოტით, მაინც მყარად მდგარი ნახევარტანით, არდაკარგვააფეკვთა და ცხოვრების თანმდევი სულიერის სიმბოლური გამოხატვაა.

ნელ-ნელა მიჰყვები ფერებს, მკრთალი კონტურებით შემოხაზულ, თითქოს სივრცესთან შერწყმულ, ცხოვრების სიჩუმეში გარინდებულ ფიგურებს და... შემ-დეგ, ყვავილთა ღიმილში გადმოდის დედის სახება. ოღონდ უფრო თამამი. ესენი არ არიან მხოლოდ ავტორისეულ კუთვნილებად ჩასათვალი, ეს იმდენი თვალის დასანახია და წასაკითხი, რამდენიც ამ ნამუშევრებს შეხედავს და წაიკითხავს, ან საკუთარი წარმოსახვით შეიგრძნობს მაინც.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გახსნა. ისაუბრა წარმოდგენილ ექსპონატებზე, იმ პერიოდებზე, რომელიც გამოფენის ავტორმა, ხელოვნების ამ სავანესთან, თავის მეგობრებთან ერთად გამოიარა. „აქ წარმოდგენილია გემოვნებიანი მხატვრობა.“

გამოფენას ესწრებოდნენ და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძემ;** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ;** გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩიამ;** ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ თავართქილაძემ;** მხატვარმა **ვახტანგ მამეიშვილმა;** მწერალმა გიორგი დანელიამ. აღინიშნა, რომ ფერწერა არ ისწავლება. ეს ან აქვს, ან არ აქვს ადამიანს.

„ჩემი სული და გული აქ ჩავდე, ყველაფერი აქაა წარმოდგენილი, სხვა სათქმელი არ მაქვს“ მადლიერება გამოუხატა თანადგომისთვის, ავტორმა ცენტრის მესვეურთ, დარბაზში მისულ სტუმრებს მეგობრებს, განსაკუთრებული სითბოთი მიმართა მეუღლეს, ირაკლი კვირკველიას, აღნიშნა, რომ მეუღლის თანადგომის გარეშე, ვერ შესძლებდა ხელოვნებას ასე მიჰყოლოდა. არ შეიძლება არ დაეთანხმო, ხელოვნების ამ რთულ, მაგრამ საინტერესო და ლამაზ გზაზე შემდგარ ხელოვან ქალს. ქალს, რომელიც ისეთივე დიდი სიყვარულით ეკუთვნის საკუთარ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, როგორც მისსავე ხელოვნებას. ძნელია, ერთის დათმობით მეორეს მოეფერო, როცა ორთავე დიდ წილს და ენერგიას ითხოვს და ორთავე ესოდენ ავსებს და აძლიერებს ადამიანს... და ეს სათნო ქალბატონიც, ამ ყველაფრისთვის საუკეთესო მაგალითად, რად არ შეიძლება ჩაითვალოს. პროფესიით ქიმიკოსმა, შესძლო ასეთი ლამაზი დღე ეჩუქებინა საზოგადოებისთვის.

წარმატებები ქალბატონო სათუნა.

გამოფენა გაყიდვა, მაისის ბოლომდე გასტანს.

ნინო ნიკოლაიშვილი.

„ჯერჯერობით ეს არის ჩანაფიქრი, სხვას მომავალი გვაჩვენებს“

ალიონი. ნინი პატარავა თვითნასწავლი მხატვარი და დიზაინერია. კარგა ხანია მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებში და გამოფენებში. იგი გურიის მხატვრების გამოფენაში მონაწილეობს, რომელიც 13 მაისს გაიხსნა ქ. თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში.“

ნინი პატარავა: *—თვითნასწავლი ხელოვანი, მხატვარი და დიზაინერი ვარ.*

ბავშვობიდან ვხატავ. დავდიოდი ბატონ ავთანდილ თავართქილაძესთან სამხატვრო სტუდიაში. ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსებში და გამოფენებში. თურქეთში, ქ. ტრაბზონში მქონდა პერსონალური გამოფენა.

დროთა განმავლობაში ჩამომყალიბდა ჩემი სტილი მხატვრობაში. რაც შეეხება მოდას ბავშვობიდან გატაცებული ვარ ამ სფეროთ. ვქმნი ესკიზებს რამაც მომცა საშუალება საკუთრი ხაზის ჩამოყალიბებაში რაშიც დამეხმარა ჩემი ახლობელი ადამიანები, რომლებიც დღემდე მიდგანან გვერდით.. ჯერჯერობით ვარ მზადებაში ვცდილობ განვითარდე როგორც პროფესიონალი მსურს შევთავაზო ჩემ პატარა ქალაქს განსხვავებული ფორმები რომელიც ყველა სეგმენტზე იქნება გათვლილი გამორჩეულად ფორმებისა რაც შეეხება ბრენდს ჩემი ინიციალები იქნება გამოყენებული

ჯერჯერობით ეს არის ჩანაფიქრი სხვას მომავალი გვაჩვენებს. —გვითხრა ნინიმ.

ჩვენ ნინის პედაგოგს, მხატვარ **ავთანდილ თავართქილაძეს** *გავესაუბრეთ:*

—უდაოდ ნიჭიერი მხატვარია. ჩემი მოსწავლე იყო სამხატვრო სკოლაში. სკოლის დასრულების შემდეგ იგი გურიის არტ სახელოსნოში მოვიყვანეთ და რამდენიმე წლის განმავლობაში ხვეწავდა სამხატვრო ტექნიკას და ქმნიდა ნამუშევრებს. პერიოდულად მონაწილეობდა გურიის მხატვართა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში. მისი ნამუშევრებიდან რამდენიმე დაცულია ოზურგეთის სურათების გალერეის ფონდში.

ჩვრთეთ დაზგური გრაფიკის პროექტში, რომლის დასრულების შემდეგ გამოიცემა კატალოგი, რომელშიც მისი ნამუშევრებიც შევა.

ახლა ქ. თბილისში ვარ, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში.“ გურიის რეგიონიდან 56 მხატვრის 100 ნახატია აქ წარმოდგენილი. ბუნებრივია ნინი პატარავაც მონაწილეობს ამ გამოფენაში. შემდეგ ეს გამოფენა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცეში გადაინაცვლებს, სადაც იგი საზეიმოდ 3 ივნისს გაიხსნება. გამოიცემა შესაბამისი კატალოგი, რომელშიც ასევე შევა ნინის ნამუშევარი.

ნიჭიერია და დარწმუნებული ვარ, მომავალში წარმატებებს მიაღწევს —გვითხრა ავთანდილ თავართქილაძემ.

ოზურგეთელი ლაზარე ჩხარტიშვილი საქართველოს ვიცე-ჩემპიონია!



თბილისის ჭადრაკის სასახლეში 7 მაისს დამთავრდა საქართველოს უმაღლესი ლიგის 32-ე ჩემპიონატი 8, 12 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც შესარჩევი ტურნირებით გამოვლენილი, ქვეყნის საუკეთესო 180 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. გურიის რეგიონიდან მასში ათზე მეტი მოჭადრაკე იყო ჩართული, რომლებსაც ურიგოდ არ უასპარეზიათ, თუმცა საქვეყნოდ თავი, ყველაზე მეტად ქ. ოზურგეთის წმინდა ნინოს სასულიერო სასწავლების მოსწავლემ, 8 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილმა** ისახელა. მან ცხრა დღიან დაძაბულ მარათონში 7 პარტია მოიგო, 2 ყაიმით ითამაშა და 8 ქულით(!!!), საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა კლასიკურ ჭადრაკში. დღეს ლაზარე ქვეყნის მასშტაბით ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. ლაზარე 6 წლიდან სერიოზული დამო-კიდებულება აქვს ჭადრაკთან. მან მწვრთნელ ელგუჯა ურუშაძესთან დაიწყო მეცადინეობა და ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოიგო მუნ-იციპალური და რეგიონალური პირველ-ობები, როგორც თავის ასაკში, ისე მასზე უფროსებში. შარშან იმერეთში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირში გაიმარჯვა და მისი ნიჭიერება და გაზრდილი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩა ჭადრაკის ცნობილ სპეციალისტებს- კლუბ „მომავალი ჩემპიონების“ მესვეურებს-ფიდეს ინსტრუ-ქტორს ილია კაკუშაძეს და დიდოსტატ დავით მაღალაშვილს.დღეს ლაზარე მათი ხელმძღვანელობით განაგრძობს რთულ საჭადრაკო ლაბირინთებში გარკვევას.

წელს, წარმატებით გამოვიდა ქთბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე სწრაფ ჭადრაკში 9 წლამდე ასაკში, სადაც ბრინჯაოს მედალთან ერთად მსოფლიო პირველობის საგზური აიღო შესაბამისი დაფინანსებით. და ეხლა საქართველოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭადრაკში, ვიცე ჩემპიონობა და ევროპის პირველობის (რუმინეთი) საგზური შესაბამისი დაფინანსებით.

ვულოცავთ ლაზარეს ამ დიდ გამარჯვებას!

ზურაბ ანდღულაძე,

გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

მზე, ღრუბელი +11+7
15 მაისი
ორშაბათი

მზე +10+23
16 მაისი
სამშაბათი

მზე +13+27
17 მაისი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი +15+25
18 მაისი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +13+22
19 მაისი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +15+21
20 მაისი
შაბათი

ღრუბელი +14+22
21 მაისი
კვირა